ის არ იყო უწმაწური სიტყვების მთქმელი და არ აკეთებდა უხამსობას, არ უხეშობდა და არ ხმაურობდა(ყვირილი არ იცოდა) ბაზრებში. იგი ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობდა, არამედ პატიობდა და სიმშვიდეს იჩენდა

აბუ აბდულლაჰ ალ-ჯადალის გადმოცემით: «შევეკითხე მორწმუნეების დედას აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობის შესახებ და მან მიპასუხა: «ის არ იყო უწმაწური სიტყვების მთქმელი და არ აკეთებდა უხამსობას, არ უხეშობდა და არ ხმაურობდა(ყვირილი არ იცოდა) ბაზრებში. იგი ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობდა, არამედ პატიობდა და სიმშვიდეს იჩენდა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

მორწმუნეების დედას აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობის შესახებ ჰკითხეს, და მან უპასუხა: "იგი ბუნებით არ იყო მიდრეკილი უხამსი სიტყვებისა და საქციელისკენ და არაფერ მსგავსს არ ჩადიოდა. იგი არ იყო ხმამაღალი, რომლის ხმა ბაზრებში ისმოდა, და არ პასუხობდა ბოროტებას ბოროტებით, არამედ სიკეთით პასუხობდა, გულში პატიობდა და გარეგნულად შემწყნარებლობას იჩენდა".

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/10974